ცნობის ფურცელი

№ 2357 პარასკევი, 19 დეკემბერი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2357

გაზეთის ღირს: წელიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.
ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію **„Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“**. ტელეფონი № 372.

დღევანდელ ნომერთან ხელის მომწერთ ეგზავნებათ ჩვენი გაზეთის განცხადებანი.

ნატალია გიორგის ასული ხაინდრავასი შვილებითურთ, მატრონა დავითის ასული, იოსებ და გედევან გიორგის ძენი ქუთათელაძენი აუწყებენ რა გარდაცვალებას პირველი—უძვირფასესის ქმრისა, მეორენი—საყვარელ სიძისა

მიხეილ ივანეს ძის ხაინდრავასას,

სთხოვენ ნათესავთა და ნაცნობთ, მობრძანდნენ დაკრძალვის დღეს, 20 დეკემბერს სოფელს ლეხაინდრაოში. (ნ. 1—1)

წარმ. 30.

ქართული თეატრი

კვირას, 21 დეკემბერს, 1903 წელს
ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

ხალხის მტერი

ანუ

ექიმი შტოკმანი

დრამა 5 მოქ. ჰ. იბსენისა თარგ. ი. პოლუმორდვინოვისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი: ნ. დავითიშვილი, ა. კარგარეთელი, ელ. ჩერქეზიშვილი; ბ-ნნი: დ. ბაქრაძე, გ. გედევანოვი, ნ. გვარაძე, ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, კ. მესხი, ვ. მატარაძე, ს. სვიმონიძე, საფაროვი, კ. ყიფიანი, კ. შათირიშვილი.

ადგილების ფასი დაკლებულია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

რეჟისორი აკაკი

ტფილისის სახაზინო თეატრი. რუსული ოპერა.

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.
პარასკევს, 19 დეკემბერს, 1903 წ., წარმოდგენილი იქნება

მაზეპა

ოპერა 3 მოქმ. ჩაიკოვსკისა.

მონაწილეობას იღებენ ქ-ნნი: ფერტიგ, სელიუკ; ბ-ნნი: დარსკი, ილიუშჩენკო, ამირჯან, ევლახოვი, გავრილოვი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. კაპელმეისტერი პოზენი.

ანონსი: 20 დეკ.—„იოლანტა“, საკონც. განყოფ. და ბალეტი. 21 დეკ.—„კამორრა“. (ნ.)

ტფილისის
კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ჟიჟინაძე—კბილისა, 8—10 საათამდე.

ლ. ივ. კამოევი.—საშარდეს, ვენერ. სიფილ. 10 ს.—11-მდე.

ნ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10 საათამდე.

ა. გ. მაღალაშვილი.—ბავშვებისა და შინაგ. 10—11 საათ.

ვ. დ. ლამბაშიძე.—შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11–12.

ლ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12–1 ს.

ექ. ქალი მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12–1 ს.

გრ. ვ. სოგოლევსკი.—ქირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშ., პარასკ. და შაბათს 1—2 საათამდე.

ვ. მ. მანსვეტოვი.—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების, კვირაობით 10—12.

საღამოთი:

ა. გ. მაღალაშვილი.—შინაგ., ბავშ., ყვავილის აცრა და მიკროქიმიური გამოკვლევანი 5—6ს.

სამკურნალოს აქვს ოცი საწოლი კრავატი

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9, მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

(წლ.) ტელეფონი № 274.

ქუთაისში
ექიმი გ. დ. ნასარიძე

მიიღებს შინაგან და ნერვების სნეულებთი ავადმყოფთ დილით 9—12-მდე, საღამოით 5—7 საათამდე. ტფილისის ქუჩა, სახლი ანტიპარმაკლიძისა. (0—ნ.—29)

ექიმი
ვ. დ. ლამბაშიძე

ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს საღამოს 6—7 საათ. ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი № 46. წლ.

ქუთაისში
კბილის ექიმი
დავით ს. რიყინაშვილი

იღებს დილით 9—2 სათ. საღამოს 5—7 საათ. პუშკინის ქუჩა, სახლი ი. გოკიელოვისა. (3—2)

22 დეკემბერს 1903 წ. **ტფილისის საკრებულოს დარბაზში** გაიმართება **„წერა-კითხვის საზოგადოების“** სასარგებლოდ

კონცერტი,

რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნი: ჩემესოვისა, ბ-ნნი: ვ. ბალანჩივაძე, ვილშაუ, ევლახიშვილი, პოლივკა, თ. აკაკი წერეთელი და **სიმღერის მოყვარულთა გუნდი და ორკესტრი**

ბ-ნ ზ. ფალიაშვილის ხელმძღვანელობით.

ხორო და ორკესტრი შეასრულებს ა. რუბინშტეინის სასულიერო ორატორიიდან „ბაბილონის გოდოლის შენება“-ს, ქართლურს, იმერულს, გურულს და სვანურს სიმღერებს და მარშს „აღსდეგ, გმირთ-გმირო!“.

კონცერტის შემდეგ გაიმართება ქართული და ევროპიული ცეკვა. ბილეთები იყიდება „წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიაში (სასახლის ქუჩა, თავად-აზნ. ქარვასლა). (5—უ.—3)

კბილის ექიმი
ნ. ტყეშელაშვილი

ოლგას ქუჩა, № 31. იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე: დილის 9—1 ს., ნაშუადღევას 2—4-მდე. კვირაობით 10—6-მდე.

კბილის ექიმი
ი. პ. ახალშენიშვილი

(ელისაბედის ქუჩა, № 38).

იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამოობით 5—7-მდე.

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა, № 21 სახლი ვნაძისა. (წლ.)

საზღვარ-გარედ

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

შორეულ-აღმოსავლეთის საქმე

„დეილი ტელეგრაფ“-ს დეპეშით ატყობინებენ შანხაიდან: იაპონია ექვსის დივიზიის გაგზავნას აპირებს კორეაში. ამ ჯარის გადასაყვანად მთავრობამ 10 გემი დაიქირავა შანხაიში.

რუსულ გაზ. „ბირჟევიია ვედომოსტი“-ს ლონდონიდან შემდეგი დეპეშა მოსვლია: „11 დეკემბერი. „სენ-ჯემს გაზეთი“ იუწყება, იაპონიის საელჩოსაგან სარწმუნოდ გავიგეთ, რომ ტოკიოს მთავრობას იმედი აქვს, რუსეთი მომავალ კვირის გასვლამდე ჩამაპარებს პასუხსაო. დიპლომატთა წრეებში ეს ცნობა დამამშვიდებელ ცნობად მიაჩნიათ.

ასე რომ ათი დღე კიდევ გავა, სანამ ტოკიოში გაიგებენ, თანახმაა რუსეთი, იაპონიის მოთხოვნილების ზოგიერთი მუხლი ხელ-ახლად გაარჩიოს, თუ არა. აქაური კარგად მცოდნე დიპლომატთა წრეები ჰფიქრობენ, რუსეთი დასთანხმდება იაპონიას და ამიტომ იმედია, დიპლომატიური მოლაპარაკება არ შესწყდებაო.

ინგლისურ გაზეთებს გუშინ მრავალი ცნობა მოუვიდათ ტოკიოდან, იაპონია ბეჯითად ემზადება საომრადაო“.

„დეილი მეილ“-ს ატყობინებენ ტოკიოდან: მეგემეთა ცნობილმა საზოგადოებამ „ბუტერფილდ ენდ სვირმა“ ყველა თავისი 25 გემი იაპონიის მთავრობას გადასცა ჯარის გადასაყვანადაო.

ინგლისურ გაზეთების აზრი რუსეთ-იაპონიის დავაზე

იმპერიალისტური გაზ. „დეილი ტელეგრაფ“-ი შორეულ-აღმოსავლეთის საქმის თაობაზე შემდეგსა სწერს: „თუ რუსეთი იაპონიის კანონიერ მოთხოვნილებას არ შეასრულებს, უსათუოდ ომი ასტყდება და ამ ომისა და სისხლის ღვრის პასუხის გებაც მარტო რუსეთმა უნდა იკისროს. ამ ჟამად რუსეთსა და იაპონიას უმთავრესად კორეიაზე მოსდით დავა. რად უნდა რუსეთს კორეია? რომელი დიდი ინტერესები აქვს ამ ქვეყანაში? იაპონიის მოთხოვნილება რომ შეასრულოს და კორეიაზე ხელი აიღოს, მით რუსეთის ღირსებასა და ინტერესს არაფერი არ დააკლდება. თუ ომი მოხდა, იაპონია დამარცხდა და რუსეთმა იაპონიის დამოუკიდებლობის მოსპობა მოინდომა, ეხლავე უნდა იცოდეს, რომ ამ შემთხვევაში რამდენსამე დიდ სახელმწიფოსთან მოუხდება ბრძოლა. რუსეთს მაშინ მეტად მძლავრი კოალიცია (რამდენსამე სახელმწიფოს კავშირი) გადაეღობება წინა“.

ამავ გაზეთის სამხედრო კორესპონდენტი, ცნობილი ბერლეიგი, ჩინეთისა და იაპონიის კარგი მცოდნე, ამტკიცებს თავის უკანასკნელ წერილში, გაზაფხულზე ადრე ომი არ მოხდებაო. ბერლეიგი გადაჭრით ამბობს, რუსეთს ეხლა, მრავალის მოსაზრების ძალით, ომი არა სწადიანო. რუსეთმა მანჯურია დაიჭირა და ეხლა ჩჟილის პროვინციისაკენ მიდის. ზოგიერთი რუსის რაზმი შევიდა კიდეც ამ პროვინციაში. ამას გარდა რუსის ინჟენრები კალგანიდან პეკინამდე მთელ მონგოლიაზე რკინის გზის მიმართულებას იკვლევენ. რუსეთს ერთი წელიწადი მაინც დასჭირდება, სანამ მონგოლიასა და ჩილის პროვინციაში კარგად გამაგრდება. რუსეთს მხოლოდ იაპონიის ფლოტისა და ინგლისის წინააღმდეგობისა ეშინიან.

„ცის ქვეშეთის იმპერიაში“

გერმანულ გაზ. „ოსტ-აზიატიშერ ლოიდ“-ის ტიანძინელი კორესპონდენტი სწერს: „რუსების ქცევამ ქალ. მუკდენში პეკინის უმაღლესი წრეები ააშფოთა და აალელა. ჩინეთის მთავრობამ აღარ იცის, რა თავს წყალი გაიღინოს. რას აპირებს მთავრობა—ეს ჯერ კარგად არავინ იცის. ხმა დადის, მანჯურიის მეფის მოადგილედ ჯანჯიდუნს დაჰნიშნავენო. ბეჯითად ამბობენ, ქვრივ დედოფალს ეხლა მარტო იუანშიკაის იმედი-ღა აქვსო. დედოფლის აზრით, ჩინეთის გამოყვანა ეხლანდელ გაჭირვებიდან მხოლოდ იუანშიკაის შეუძლიან.

ჩინური გაზ. „და-გუნ-ბაო“ იუწყება: რუსები მუკდენის დაჭერის დროს მეტად უდიერად მოექცნენ ხალხსაო. ჩინელებმა რუსეთს დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს. ერთმა მამაცმა ჩინელმა თავის ცოლით ათ რუსის ჯარის-კაცს გაუწია წინააღმდეგობა და იმ სახელმწიფო შენობაში, სადაც ეს ჩინელი დარაჯად იდგა, არ შეუშვაო. გაზეთი უმატებს: რუსები ეხლაც ათას უმსგავსობას სჩადიან მუკდენში და იქაურ ხალხს მეტად უდიერად ექცევიანო. მუკდენის გუბერნატორი იაპონელებისაგან მოელის შველასაო.

ამასვე იუწყება მეორე ჩინური გაზ. „შაოჟი-ბაო“-ც. მაგრამ რუსული გაზ. „ნოვი კრაი“ გადაჭრით უარ-ჰყოფს ამ ცნობებს და ამტკიცებს, რომ ქალ. მუკდენის დაჭერის დროს ჩინელები სიხარულით მიეგებნენ რუსებს და ყველა სახლზე რუსეთის ბაირაღები გაშალესო.

ჩინური გაზ. „ჩჟუან-ვაი-ჟი-ბაო“ იუწყება: პეკინში რომ პირველად ცნობა მოვიდა, რუსები ურგაში (მონგოლიაში) სიმაგრეებს აშენებენო, მთავრობის მოხელეებმა ყურიც არ გაიბერტყეს, მაგრამ ყველა შეგნებული კაცი-კი მაშინვე მიჰხვდა, რომ რუსეთი მონგოლიის დაჭერასაც ცდილობსო.

„სინ-ვენ-ბაო“ სწერს: რუსეთის ელჩმა ბ-ნმა ლესარმა ჩინეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს შეატყობინა, რუსეთის ჯარი მეათე თვის მეათე დღეს (28 ნოემბერს) გავა მანჯურიიდანაო. ჩვენი ელჩი კი პეტერბურგიდან ატყობინებს სამინისტროს, რუსეთი ყოველ დღე ჯარსა ჰგზავნის მანჯურიაშიო.

რუსეთი და ამერიკა

ამერიკული გაზ. ნიუ-იორკ სინ“-ი ამტკიცებს, „აშკარაა, რომ რუსეთს მანჯურიაში ბატონობა სწადიან. ამ წადილმა ძლიერ დააფიქრა ამერიკის მთავრობა. ჩვენი ხალხი ეხლა მეტად ცუდის თვალით უყურებს რუსეთს და იაპონიას კი გულწრფელად თანაუგძნობს. თუ რუსეთსა და იაპონიას ომი მოუხდათ, მართალია ამერიკა ნეიტრალიტეტს დაიცავს, მაგრამ გულით მაინც იაპონიის მხარეს იქნება. ჩვენი გარეშე საქმეთა მინისტრი ჰეი სრული სამი წელიწადი ბეჯითად ცდილობდა ჩინეთის ხელ-უხლებლობისა და დამოუკიდებლობის დაცვას. გვეგონა, რომ მინისტრის მეცადინეობა გამარჯვებით დაგვირგვინდებოდა, მაგრამ ეხლა ჩინეთის საქმე უფრო ცუდათაც წავიდა. ბოქსიორთა აჯანყების დროს სახელმწიფოებს მეტის-მეტად გაეღვიძათ მადა და ჩინეთის გაგლეჯა უნდოდათ. იმ დროსაც კი არ მოელოდა ჩინეთს ისეთი განსაცდელი, როგორიც ეხლა მოელის. თუ რუსეთი ჩინეთის მთავრობას მანჯურიის ნავთ-სადგურების გახსნის ნებას არ მისცემს, ან ამერიკა-ჩინეთის სავაჭრო ხელშეკრულებას შეამცირებს, ან ჩვენის ვაჭრობის განვითარებას ხელს შეუშლის—ნეტავ ამ შემთხვევაში ჩვენი მთავრობა როგორ მოიქცევა? დარწმუნებული ვართ, ჩვენი მთავრობა გულზე ხელს არ დაიკრეფს და რუსეთს საკადრისს პასუხს გასცემს.

ინგლისელ პროტექციონისტების გამარჯვება არჩევანში

აქით კვირია ლიუდლოუს ოლქში გარდაცვალებულ კონსერვატორ დეპუტატ მორის ბადლად ახალი დეპუტატი აარჩიეს. პროტექციონისტ-კონსერვატორებმა თავიანთ კანდიდატად გიონტი დაასახელეს, ლიბერალფრიტრედერებმა—გორნი. სწორედ არჩევნის წინ ცნობილმა დეპუტატმა უინსტონ ჩერჩილმა წერილით ურჩია უნიონისტ-ფრიტრედერებს, ლიბერალების კანდიდატს დაუჭირეთ მხარი, რადგან ეხლა ჩვენი უმთავრესი მტერი—პროტექციონიზმიაო. მაინც პროტექციონისტების კანდიდატმა გიონტმა გაიმარჯვა. გიონტმა 4,393 ხმა მიიღო, იმისმა მოწინააღმდეგემ გორნმა-კი 3,423. თუმცა ლიბერალებს არ გაუმარჯვნიათ, მაგრამ ესენი იმით ნუგეშობენ, რომ კონსერვატორების უმეტესობა მეტად შემცირდაო. წინად 1895 და 1900 წ. წ. არჩევნის დროს ლიბერალებს ამ ოლქში თავიანთი კანდიდატი სულაც არ დაუსახელებიათ, 1892 წელს-კი კონსერვატორების კანდიდატმა 3,819 ხმის უმეტესობით გაიმარჯვა ამ ოლქში.

ახალი ამბავი

◆ მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროსთან დაარსებულმა **მეღვინე-მევენახეობის კომიტეტმა** გუშინ მეორედ მოსწერა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს, რომ თუ საზოგადოებას ჰსურს მისი მოსაზრებანი ღვინის ფალსიფიკაციასთან ბრძოლის შესახებ განსაკუთრებულმა საბჭომ განიხილოს, დააჩქარეთ ამ მოსაზრებათა გამოგზავნა, რომ პეტერბურგში 1904 წლის 1 იანვრამდე იქნას მიღებულიო.

◆ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ გადასწყვიტა 1904 წელს კახეთის სხვა-და-სხვა ადგილსა და შორაპნის მაზრაში **გამართოს საწყობები** ვაზის სამკურნალო წამლებისა და იარაღისა.

◆ 21 დეკემბრისთვის დანიშნულია საზოგადო კრება **სახალხო კითხვების გამმართველ საზოგადოებისა.** კრება განიხილავს 1902—1903 წლ. ანგარიშს, მოხსენებას სარევიზიო კომისიისას და სავარაუდო აღრიცხვას. ამას გარდა უნდა შეიცვალოს წესდების პარაგრაფი და მოხდეს ნამდვილ წევრთა არჩევანი. კრება მოხდება სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სადგომში.

◆ სამთო დეპარტამენტი შეეკითხა ტფილისის ქალაქის გამგეობას, მიეცა თუ არა ინჟენერ ხატისოვსა და ბრაილოვსკის კონცესია საბოტანიკო ბაღიმდის **ტუნელის გაყვანის** შესახებაო. გუშინ ტფილისის ქალაქის გამგეობამ შეატყობინა, რომ მიწათ-მოქმედების სამინისტრომ კონცესიონერთ დიდი გადასახადები მოსთხოვა, რის გამოც ხელშეკრულობის დადება შეჩერებულია იმ დრომდე, ვიდრე საბჭო ამ საკითხს ხელ ახლა არ განიხილავსო.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ 16 დეკემბერს განიხილა **გუბერნატორის მოწერილობა** სასანიტარო-სამკურნალო ნაწილის ექიმების კლასებად დაყოფის შესახებ ამ ექიმების სახელმწიფო სამსახურში ჩასარიცხავად.

◆ როგორც შევიტყვეთ, **ტფილისის პოლიციის** მე-4 ნაწილის ბოქაული დუშინსკი დაინიშნა პოლიციის მეორე ნაწილის ბოქაულად ნაცვლიშვილის მაგიერად, ხოლო დუშინსკის ადგილზე გადმოჰყავთ მოსკოვიდან იქაური პოლიციის ერთი მოსამსახურე.

◆ 16 დეკემბერს კრება ჰქონდათ **ხელოსანთა უსტაბაშებსა** და დეპუტატებს, რომელთაც მოისმინეს ხელოსანთა მამასახლისის მოხსენება სამარხ კასის დაარსების შესახებ. კრებამ სასურველად სცნო კასის დაარსება. 20 დეკემბერს მოხდება ახალი საზოგადო კრება, რომელიც განიხილავს განზრახულ კასის წესდების პროექტს.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ ქალაქის იურისკონსულტს დაავალა, **საჩივარი აღძრას** ქ-ნ ეკ. ლორთქიფანიძის წინააღმდეგ დიდუბეში ქალაქის ადგილის მითვისებისათვის.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ ავადმყოფობის გამო ორის თვით განთავისუფლა სამსახურიდან ქალაქის სამკურნალოს კუკიის განყოფილების გამგე ექიმი მზარეულოვი. მზარეულოვის მაგივრად დროებით კუკიის სამკურნალოს გამგედ იქნება ექიმი ზაბლუდოვსკი.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ სთხოვა გუშინ მე-9 ნაწილის ბოქაულს, ნებას ნუ მისცემს კვირაცხოვლის აისორთა ეკკლესიის გამგეს არქიპოვისა და ნოვოტროიცკის ქუჩებზე ქვიშა და ქვა დაჭყაროს, რადგან ამით ფერხდება მიმოსვლა ამ ქუჩაზე და წყლის მილის გაყვანა ხუდუროთისაკენ.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ 16 დეკემბერს დაადგინა 25 მან. შემწეობა აღმოუჩინოს ტფილისის სახელოსნო სასწავლებლის მასწავლებელს თუმანოვს.

შეცდომის გასწორება. „ცნობ. ფურც.“-ს მე-2355 ნომრის მეცხრე ახალ-ამბავში შეცდომით დაბეჭდილია: „ტფილისის საბაღოსნო სკოლასთან არსებობს პრაქტიკან-მუშათა სკოლა“. უნდა იყოს: „ტფილისის საბოტანიკო ბაღთან“ და სხვ.

ქუთაისის ახალი ამბები

◆ როგორც „კავ.“ გადმოგვცემს, შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაუწყვეტია მისცეს ქუთაისის ქალაქის თვითმმართველობას კონცესია ტელეფონის გამართვისა ქუთაისში. ქალაქთან პირობის დადება მიენდო ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსს.

◆ კვირას, 14 დეკემბერს, საურთიერთო ნდობის საზოგადოების დარბაზში ბ-ნ მანუილოვის თავმჯდომარეობით მოხდა საგანგებო კრება ბავშებისთვის მზრუნველო საზოგადოების წევრთა. თუმცა კრებას მხოლოდ 13 კაცი დაესწრო, მაგრამ, როგორც ერთხელ უკვე გადადებული, კანონიერად ჩაითვალა. კრების საგანი იყო, შეეცვალა ის შუამდგომლობა, რომელიც აღძრული იყო დედოფალის მარიამ თეოდორეს ასულის სახელობის ბავშებისათვის მზრუნველ უმთავრეს საზოგადოების წინაშე. წინად საზოგადოების გამგეობა შუამდგომლობდა, რომ შემწეობა აღმოეჩინათ ფულით ბავშების თავშესაფარის შენობის დასამთავრებლად, სადაც ბავშებისათვის სხვა-და-სხვა ხელობა უნდა ესწავლებინათ. მაგრამ, როგორც საზოგადოების თავმჯდომარემ ქ-ნმა ტ. გ. ნაზაროვმა მოახსენა კრებას, შემწეობის მიღება მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ ჩვენი საზოგადოება იმ ტიპის თავშესაფარს დააარსებს, როგორიც გავრცელებულია საზოგადოთ რუსეთში, რომელშიაც ასწავლიან კალათების წნვასა და დურგლობას. წაკითხულ იქმნა გამგეობის წევრის დ. ბ. მდივნის მოხსენება, რომელიც შუამდგომლობასთან ერთად უნდა წარუდგინოს სამზრუნველო კომიტეტს. კრებამ ერთხმად მიიღო მოხსენება და დაადგინა, საჭიროების დაგვარად, შეცვლილ იქმნეს შუამდგომლობა.

ვსარგებლობთ შემთხვევით და გავახსენებთ საზოგადოებას, რომ 29 დეკემბერს ბავშებისთვის მზრუნველ საზოგადოების გამგეობა ქალაქის გამგეობის დარბაზში გამართავს უფასო შობის ხეს ქალაქის ღარიბ ბავშთათვის, რომელთაც დაურიგდებათ ამ საღამოს ტანისამოსი, ფეხსაცმელები, ტკბილეულობა და სხ. ვინც ქუთაისის სიღარიბეს იცნობს, მისთვის ადვილი წარმოსადგენია, თუ რამდენი უპატრონო, ღარიბი ბავში ციურ მანანასავით მოუთმენლად მოელის 29 დეკემბერს, რომ წლის განმავლობაში ერთხელ მაინც დაიფაროს ტიტველი ტანი, ერთხელ-მაინც იგემოს ტკბილეულობა დ გამოსცადოს ბავშვური თავისუფლება. მაგრამ ბავშვებისათვის მზრუნველი საზოგადოება თავის საშუალებით ღარიბ ბავშვთა ერთ მეათედსაც ვერ დააკმაყოფილებს. ამისათვის საჭიროა, საზოგადოებამ მეტი გულ-შემატკივრობა გამოიჩინოს და დაეხმაროს საქმის მოთავეთ, როგორც ტანისამოსისა და ფეხსაცმელების მოწოდებით,— თუნდა ძველიც იყოს — ისე ფულითა და სანოვაგით. ჩვენ მივმართავთ შეძლებულთა შვილებს, ნუ დაივიწყებენ ისინი თავის ღარიბ მოძმეთ. გამგეობამ უკვე მიჰმართა თხოვნით საზოგადოებას, მაგრამ ჯერ-ჯერობით ძლიერ ცოტა შემოწირულება მისდის საზოგადოების თავმჯდომარეს ქ-ნ ტ. გ. ნაზაროვისას.

შინ და გარედ

48.

ვერ გასჭრა ბ-ნ ნ. თავდგირიძის გაჯავრებულმა წერილმაც!

ქუთაისის თავად-აზნაურობამ ისევ კომისია აირჩია დაუსრულებელ საქმის დასასრულებლად.

აკი მეც ვარწმუნებდი გულმოსულ ავტორს—ტყუილად იწუხებ თავს, რადგან ამ უცნაურ „საქმიდან“ არაფერი არ გამოვა-მეთქი; მაგრამ არ დამიჯერა. ბ-ნი თავდგირიძე, თუმცა გვარწმუნებს გულგატეხილი ვარ ჩვენებურ საზოგადო საქმეებზეო, მაინც ოპტიმისტია: კიდევ სწამს ჩვენი „მოწინავე წოდების“ საქმიანობა.

მარტო ის არ ყოფილა ასეთი ოპტიმისტი. ამ დღეებში წერილი მომივიდა ერთ ქართველ სტუდენტისაგან, რომელიც მთხოვდა —გაახსენეთ თავად-აზნაურობის კრებას სტუდენტების გაჭირვება: იქნება გადასინჯოს თავისი დადგენილება და 20 ათასი მან. სტიპენდიებზე გაანაწილოსო; მეტის მეტად შევიწროებული ვართო. ამ სტუდენტსაც ის ვუპასუხე, რაც ბ-ნ თავდგირიძეს.

მაშ რა უნდა მიმეწერა, თუ-კი დარწმუნებული ვარ, რომ ეს „საქმე“ სასურველ ბოლოს ვერ ეღირსება?!

მართლაც, განა საოცარი არ არის, რომ სამი წლის განმავლობაში ჩვენმა თავად-აზნაურობამ ვერაფერი მოახერხა, ვეღარ დააბოლოვა უმაღლესად ნაბოძებ ფულის მოხმარების საქმის მოწყობა?! აქაო და მძიმე საქმეა, ბევრი მოფიქრება უნდაო; მაგრამ, როგორცა სჩანს, ამ მძიმე საქმის მოფიქრებას ბოლო აღარ ექნება. არ ექნება იმიტომ, რომ ჩვენს ღარიბ თავად-აზნაურობას ყოველისფრის გაკეთება მოუნდა ამ ფულით არიქა, გვეშველა: თუ რამ გვაკლდა, ეხლა შევივსებთ, თუ რამე გაქვს მოუწყობელი, ეხლა მოვაწყობთ, გავაჩენთო! შეიქნა ჩხრეკა-ძიება და, რასაკვირველია, ათასი საჭიროება იღმოჩნდა, რომელთა დაკმაყოფილება 40 ათასით-კი არა 40 მილიონით არ შეიძლება.

ბევრის ლაპარაკისა, თათბირისა და წერის შემდეგ, ქართველი თავად-აზნაურობა თითქოს იმ აზრს დაადგა, ყველაფერს სამეურნეო სასწავლებელი აჯობებსო, მაგრამ ამით საქმე არა-თუ არ დაბოლოვდა, არამედ კიდევ უფრო აიწეწ-დაიწეწა. ეხლა ათასი საზრუნავი საგანი რჩება: ამერეთისა და იმერეთის თავად-აზნაურობის შეთანხმება, სასწავლებლის ტიპის გამოძებნა, არჩევა ადგილისა, სადაც სასწავლებელი უნდა დაარსდეს, გამოძებნა დამატებით საშუალებათა სკოლის დასაარსებლად და შესანახად, ვინაიდან 40 ათასი მანათი საკმარისი არ არის, და მრავალი სხვა. წარმოიდგინე, მკითხველო, რამდენი კომისია იქნება საჭირო ყველა ამ „მძიმე“ საკითხთა გადასაწყვეტად და რამდენმა წელმა უნდა განვლოს კიდევ, სანამ ესეები მთავრობისაგან განხილული, მოწონებული და დამტკიცებული იქნება?!

მე ვწინასწარმეტყველობ: საქმე ისე დატრიალდა ხსენებულ დადგენილებით, რომ მისი დასრულება მხოლოდ შორეულ მომავალში თუ მოხერხდება. ასე რომ ჩვენი თავად-აზნაურობა დღეს სულ უბრალოდ იწუხებს თავს: მის დღიურ ვარამსა და დღევანდელ საჭიროებას ეს ფული მალამოდ არ დაედება. ამ შემთხვევაში თამამად შეუძლია თქვას და არც არავინ დაზრახავს—après nous le déluge'ო!.. სთქვას ეს და დაწყნარდეს.

ჩვენი პრესსაც დაწყნარდებოდა და სრულიად არ ამოიღებდა ამ უცნაურ საქმეზე ხმას, რომ ერთი, კიდევ უფრო მეტად უცნაური, გარემოება არ იყოს ამ საქმეში. სა-

ფელეტონი

წერილები ლონდონიდან

XXII

დამატებითი არჩევნები და პარტიების ბრძოლა.—კლერიკალიზმმა ნიღაბი აიხსნა.—პარლამენტის დეპუტაციის საფრანგეთს წასვლა და ინგლის-საფრანგეთის დაახლოვება.

დღეს ლონდონის ორს ჩაარჩევნო ოლქში მომხდარ დამატებით არჩევნების რეზულტატი გამოაცხადეს. გაუზვიადებლად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ მთელ ინგლისში ყველა, ვისაც კი პოლიტიკა ეინტერესება, გაფაციცებით ადევნებდა თვალ-ყურს ამ საარჩევნო ბრძოლას. საინტერესო ის კი არ იყო, სამინისტრო, ესე იგი, ჩემბერლენი და პროტექციონიზმი, გაიმარჯვებდა თუ არა;— ყველამ კარგად იცოდა, რომ ორივ ოლქის ამომრჩევლები თავით ფეხამდე ნამდვილი კონსერვატორები არიან: უკანასკნელ სამის არჩევნის დროს (მაშასადამე მთელი 15 წელიწადი) ხსენებული ოლქები მუდამ კონსერვატორებს ირჩევენ 3 და 5 ათასის ხმის უმეტესობით. ყველას მხოლოდ იმის გაგება ეინტერესებოდა, რამდენად დაიწევს სახალხო განათლების დამმახინჯებელისა და პროტექციონიზმის მომხრე სამინისტროს სახელის პოლიტიკური ბარომეტრიო. ამ ბარომეტრმა მაინც დაანახვა ყველას, როს სამინისტროს სახელმა დაიწია, მაგრამ ქარიშხლამდე ჯერ კიდე შორსააო; მთავრობის უმეტესობა 3,082 ხმიდან 1,437-მდე ჩამოხტაო.

ეს მეფე პიროსის გამარჯვებასა გავს დამეტად ცუდი ნიშანია სამინისტროსათვის. კონსერვატორები ხუმრობა გაშვებით შეფუცხუნდნენ. მართლაც და ჰმართებსთ კიდეც შიში. ორ უკანასკნელ წელიწადში 21 დამატებითი არჩევანი მოხდა. ამ არჩევნების დროს სამინისტრომ 7 ადგილი დაჰკარგა, ლიბერალებმა კი მხოლოდ 1. ლიბერალებს 31 ათასი ხმა მოჰმატებიაო, სამინისტროს კანდიდატებს კი 1,714 ხმა დაჰკლებიათ. ცხადია, ინგლისში უკმაყოფილება ძლიერდება. მაგრამ როდის იფეთქებს ხალხის გულის წყრომა და აბობოქრებულ ზღვის ტალღასავით როდის წაჰრეცხავს იმ სამინისტროს, რომელმაც დაჰღუპა და გაავერანა ბურების ორი პატარა რესპუბლიკა, სახალხო სკოლები კათოლიკე და ანგლიკანის სარწმუნოების მღვდლების ხელში ჩააგდო, მუშების ორგანიზაციების უფლება შეზღუდა, ხალხის საჭმელსა და პურზე ბაჟების დადება განიზრახა?... დიახ, როდის?—საკითხავიც ესაა სწორედ.

ეხლა პარტიები ინგლისში და სხვა ქვეყნებშიაც ბრძოლის დროს სულ სხვა ხერხებსა ხმარობენ და სულ სხვა კილოთი ლაპარაკობენ. უკანასკნელ ორის თაობის ლიბერალები და რადიკალებიც-კი, კაცთ-მოყვარე ფილოსოფოსებისა და პროგრესისტ-რეფორმატორების გავლენით, მშვიდობიან, წყნარ, ლეგალურ პოლიტიკას დაადგნენ და დარიგებითა და დარწმუნებით მოქმედებენ. პიროვნებისა და საზოგადოების უფლება იმათთვის წმიდა და ხელშეუხებელ საგანს წარმოადგენს; კანონი და იმისი წარმომადგენლები ამათის აზრით სამართლიანობისა, ადამიანობისა და სიმართლის შარავანდედით არიან შემოსილები. ამათის აზრით, კანონის წარმომადგენლები უფროც უნდა გაუმჯობესდნენ, უფრო მშვიდადა და წყნარადაც უნდა მოიქცნენ. სულ სხვასა ვხედავთ კონსერვატორებში. ყველას კარგად ეხსომება, თუ რა მხეცურად ექცეოდნენ საფრანგეთის კონსერვატორები და კლერიკალები ზოლასა, კლემანსოსა, ბრისონს, მაშინდელს სამინისტროს პრეზიდენტს, და თითონ რესპუბლიკის პრეზიდენტსაცა; ბოლოს ერთმა ოხერმა მდიდარმა კაცმა თავში ჯოხიც დაარტყა ლუბეს. ამასაც როდი დასჯერდნენ. ბერები, გენერლები და თვით კონსერვატორი მოსამართლეები („მამა“ დიულაკი, გენერალი მერსიე, როჟერი, უმთავრესი პროკურორი კენე დე ბორეპერი და სხვ.) სამოქალაქო ომის ატეხას ემუქრებოდნენ დრეიფუსის დამცველებს და ხალხს იარაღის ასხმას ურჩევდნენ. ინგლისის კონსერვატორები ასეთი მყვირალები არ არიან, მაგრამ თავხედობაში კი არც ესენი დაუვარდებიან. როცა 1893—94 წ. წ. გლადსტონ-როზბერის სამინისტრომ ირლანდიისათვის ჰომრულის (საკუთარ პარლამენტის) დაწესება მოინდომა, ბალფურმა—ეხლანდელმა პირველმა მინისტრმა, მაშინდელმა ოპოზიციის მეთაურმა— ულსტერში ნამდვილი რევოლიუციონური სიტყვა წარმოსთქვა და ხალხს ურჩია, სამინისტროს წინააღმდეგ იარაღი აისხითო. ჩემბერლენმა და იმისმა მეგობრებმა იქამდე ბოროტად ისარგებლეს პარლამენტის თავისუფლებით, ამათმა მომხრეებმა იქამდე გაავულისეს ირლანდიელები, რომ ბოლოს შიგ პარლამენტში მუშტი-კრივიც-კი გაიმართა.

გლადსტონი და ლიბერალები, როგორც საფრანგეთში რადიკალების მთავრობა, მეტად წყნარადა და სულგრძელად მოექცნენ თავიანთ მტრებს. ეს მტრები კი, რაკი ერთი მთავრობის სათავეში ჩადგებიან და ძალას მოიპოვებენ, არც სიტყვის თავისუფლებას სცემენ პატივს დ თავიანთ მოპირდაპირეებს არა თუ სულგრძელად არ ექცევიან, პირველ მარჯვე შემთხვევაშივე ცეცხლითა და მახვილით აქრობენ ყველაფერს, რაც კი იმათ ეწინააღმდეგება. ხალხის გაწყვეტა ტრანსვაალში, პატრიოტების დასჯა და იმათ მეგობრების ძალ-დატანებით მიყვანა სასჯელის საყურებლად,—კარგად ჰმოწმობენ ჩვენ სიტყვებს. ესენი თვით ინგლისშიაც პარლამენტს სისტემატიურად ართმევენ პრივილეგიებს, მთავრობა სესილ-ბალფურ-ჩემბერლენის გვარეულობის კერძო საქმედ გადააქციეს, არც კანონიერებას დასდევენ, არც კონსტიტუციას. ჯერ კიდევ გუშინდელ არჩევანში იმათ მეფის გვირგვინი დახატეს თავიანთ კანდიდატების აფიშებზე და მეფე აიძულეს, ამ თავხედობის თაობაზე პროტესტი გამოეცხადებინა.

ვსთქვათ, სამართლიანობისა, კაცთმოყვარეობისა და განათლების მეგობრებს სწამთ, რომ ადრე თუ გვიან კონსერვატორები პასუხს აგებენ ყველა ბოროტ-მოქმედებისა და ძალმომრეობისათვისაო. მაგრამ როდის დადგება ეს დრო? საფრანგეთში თითონ ხალხმა გაუწია წინააღმდეგობა ესტერჰაზის დამცველების ძალმომრეობას და ცემა-ტყეპით გაჰფანტა რეაქციონერები. უნდათ განა, ან

ნამ ჩვენი თავად-აზნაურობა დარბაისლურად სჯის და კამათობს ამ საგანზე და „შორეულ მომავალის“ თაობას სასწავლებელს უმზადებს, მისი შვილები დღეს ჩრდილოეთის ქალაქებში მშიერ-მწყურვალნი ღვთის ანაბარად მიტოვებულნი არიან და ამაოდ მთელ ქვეყანას შველას ემუდარებიან...

ამას წინად ერთმა განათლებულმა რუსმა გამომკითხა ამ „საქმის“ ვითარება და როდესაც ყოველივე ვუამბე, პასუხად მხოლოდ შემდეგი ამოვიკითხე მის სახეზე:

— ?!?

უკეთეს პასუხს არც მე მოველოდი...

გან

ქუთაისის ქალაქის საბჭო

14 დეკემბერს, ქალაქის მოურავის დ. ა. ლორთქიფანიძის თავმჯდომარეობით, მოხდა ქალაქის საბჭოს სხდომა, რომელსაც ოცამდე ხმოსანი დაესწრო. ამ სხდომაზე გასარჩევ საქმეებში ყურადღებას იქცევს ქალაქის გამგეობის მოხსენება შესახებ იმისა, რომ გაკეთებულ იქნეს ბალახვანში, ეგრეთ წოდებულ „წყალთაშუა“-ში ჯებირი რიონის მარცხენა ნაპირის გასამაგრებლად. ამ საგნის შესახებ ბალახვანის ქუჩის მცხოვრებთ 1899 წელში აღუძრავთ შუამდგომლობა ხელმწიფე იმპერატორის წინაშე, რომ ნაპირის გამაგრება თვითონ მთავრობას ეკისრა. შუამდგომლობა გადმოუციათ ადგილობრივ გუბერნატორისათვის, რომლის განკარგულებით გაუსინჯავთ გასამაგრებელი ადგილი ინჟენრებს, რომელთაც შეუდგენიათ გეგმა და ხარჯთ-აღრიცხვა. მათის აზრით, ქვითკირის ჯებირით ნაპირის გასამაგრებლად საჭირო ყოფილა 12,000 მანეთი. ქუთაისის გუბერნატორს მოუხსენებია მთავარ-მართებლისათვის, ქალაქს არავითარი შეძლება არა აქვს ჯებირის გასაკეთებლად და ხაზინამ იკისროს ეგ საქმე, მით უმეტეს, რომ ბალახვანის ქუჩა ხაზინის საკეთებელია და, მდინარის ნაპირი თუ არ გამაგრდა, ბალახვანის ქუჩა ძლიერ საშიშ მდგომარეობაშია ჩავარდნილი. მთავარ-მართებელს ეგ შუამდგომლობა არ დაუკმაყოფილებია—გასამაგრებელი ადგილი ქალაქის საზღვარშია და ქალაქმა უნდა იზრუნოს მის გამაგრებაზე. მას აქეთ საქმე მიაყრუეს. მაგრამ ამ წლის ზაფხულის წყალდიდობამ, რომელმაც ორჯერ დიდი ზარალი მოუტანა ბალახვანის ქუჩის მცხოვრებთ, აიძულა მცხოვრებლები ბ-ნ გუბერნატორისათვის მიემართათ თხოვნით—გვიშველეთ, განადგურებისაგან დაგვიფარეთ და აიძულეთ ქალაქი, რომ ჯებირით გაამაგროს მდინარის ნაპირი. ბ-ნმა გუბერნატორმა წინადადება მისცა ქალაქს რამე ღონისძიება ეხმარა თხოვნის დასაკმაყოფილებლად. ქალაქის გამგეობამ ინჟენრებს გაასინჯვინა ეს ადგილი, რომელთაც შესაძლოდ სცნეს დროებით ქვითკირის ჯებირის ნაცვლად გაკეთდეს ხის ჯებირი, რომელიც უნდა აივსოს რიყის ქვით. ასეთი ჯებირი ქალაქს დაუჯდება 2078 მანეთად. გამგეობა თხოულობს, ხსენებული რაოდენობა შეტანილ იქმნეს მომავალი წლის ხარჯთ-აღრიცხვაში. ზოგიერთი ხმოსანი იმ აზრისა იყო, ორი ათას მანეთს ტყუილად დავხარჯავთ და ნაპირს ვერ გავამაგრებთო, მაგრამ უმეტესობა იმ აზრს დაადგა, რომ რამდენსამე წელს შეიძლება ამგვარად გამაგრდეს ნაპირიო. ცოტა კამათის შემდეგ საბჭომ ერთხმად მიიღო გამგეობის მოხსენება.

კრებას მოხსენდა ბ-ნ გუბერნატორის წინადადება შესახებ იმისა, რომ დამტკიცებულ იქმნა საბჭოს მიერ დადგენილი ნიხრი ღორის ხორცის მიკროსკოპიულად გასინჯვისა.

შემდეგ მოხსენდა მომავალი 1904 წლისათვის ახლად შედგენილი საბჭოს სხდომების სია. წლის განმავლობაში საბჭოს ექმნება სულ 24 მორიგი სხდომა ორშაბათობით.

შემდეგ გადავიდნენ იმ პირთა საჩივრების განხილვაზე, რომელნიც უკმაყოფილონი არიან დამფასებელ კომისიის ან ქალაქის გამგეობის მიერ მამულის შეფასებით და თხოულობენ შეფასების შემცირებას. როგორც ეტყობა, ჩვენი საბჭო იმდენს უკლებს შეფასებას, რომ ბოლოს არამც თუ 15 და 20 ათასი მანეთი ზედმეტი დარჩება შეფასებითი გადასახადი, ისიც არ შემოუვა, რაც ამდენ ხანს შემოუდიოდა. ამ დღეს განიხილეს მხოლოდ 30 საჩივარი; განსახილველად კიდევ 200 მეტი საჩივარია დარჩენილი. სხდომა ღამის 11 საათზე შესწყდა.

დონ-ვალიანი

თეატრი

ქუთაისი. 14 დეკემბერს ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასმა ბ-ნ ვლ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით წარმოადგინა ტრაგედია „ურიელ აკოსტა“. ეტყობოდა, დრამატიულ საზოგადოების გამგეობას ყოველი ღონე ეხმარა, რომ თეატრში მეტის საზოგადოებისთვის მოეყარა თავი: ბ-ნი მესხიშვილიც ამ დღეს იღებდა წარმოდგენაში მონაწილეობას, თეატრიც ელექტრონით ამ დღეს პირველად გაენათებინათ, პიესაც საზოგადოების საყვარელი ამოერჩიათ და სხ. და მართლაც წარმოდგენას იმდენი საზოგადოება დაესწრო, რომ თეატრში არც ძირს, არც ზევით ტევა აღარ იყო. თეატრის წინა ქვაფენილიც სავსე იყო ხალხით, რომელსაც ადგილი ვერ ეშოვნა და მზად იყო ორი წილი ფასი გაეღო, თუ ვინმე დაუთმობდა თავის ბილეთს. თუმცა ბევრმა იშოვა ამგვარად ბილეთი, მაგრამ უმეტესობა კი გულდაწყვეტილი დაბრუნდა შინ.

რაც შეეხება თვით წარმოდგენას, გარდა ბ-ნ მესხიშვილისა, რომელიც ურიელ აკოსტას როლის თამაშის დროს რეჟისორისა და სუფლიორის როლსაც ასრულებდა და, ეტყობოდა, ზოგიერთ მსახიობზე ძლიერ მოსდიოდა გული, ყველანი ისე უგულოდ, ზანტად თამაშობდნენ, თითქოს სახრეებით ერეკებიან სცენაზეო. ძვირად გვინახავს, მაგალითად, ქ-ნი მდივნის ასული ისე უგულოდ, უგრძნობლად მოთამაშე, როგორიც ამ საღამოს იყო ივდითის როლში: მიხვრა-მოხვრა, ხმა, ტირილი თუ სიცილი—ყველაფერი ნაძალადევი, არა ბუნებრივი გამოუდიოდა. ბ-ნ გუნიას (ბენ-აკიბა) ავიწყდებოდა, რომ თითქმის 100 წლის მოხუცი იყო, და ხან ჩვეულებრივი ბოხის ხმით ლაპარაკობდა, ხან ნამეტანს ჩაუწვრილებდა; ხან ისარივით იმართებოდა წელში და ხან შვილდივით იხრებოდა. ბ-ნ ქლენტს (ბენ-იოხაი) სწორედ სასაცილოდ ეპირა თავი: ისე დარბოდა სცენაზე და ისეთის სიჩქარით ლაპარაკობდა, თითქოს მოსდევენ და უნდა ყველაფრის თქმა მოასწროს და გაიქცესო. ღვთის წინაშე, როლი-კი შესანიშნავად ჰქონდა ჩაზეპირებული. ასეთები იყვნენ უმთავრეს როლების მოთამაშენი და დანარჩენებს კარგად რომ ეთამაშნათ, მაინც წარმოდგენას კარგი არ ეწოდებოდა.

დონ-ვალიანი

* * *

ყვირილა. 13 დეკემბერს ცერცვაძის სახლში ქ-ნმა ელ. ბეჟანოვისამ გამართა ქართულ-რუსული წარმოდგენა კონცერტითურთ საქალაქო სკოლის ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ. წარმოდგენა-კონცერტი შედგებოდა ხუთის განყოფილებისაგან: 1. რუსული სიმღერები, 2. „დატრიალდა ჯარა“, 3. „Средство не платить докторамъ“, 4. „ორი მშიერი“ და 5. ქართული სიმღერები. სამივე ვოდევილმა კარგად ჩაიარა. თავიანთი როლები კარგად აასრულეს ბ-ნთ ვინმემ, ხარაგოულელმა და კაზაკოვმა. ქალები სუსტად თამაშობდნენ. რაც შეეხება საკონცერტო განყოფილებას, სიმღერები სუსტად აასრულეს. შვიდი-რვა მოსწავლისაგან შემდგარი გუნდი გალობდა ბ-ნთ კლენოვსკისა და ბალანჩივაძის მიერ ოთხ-ხმაზე გადაღებულ სიმღერებს, იმ სიმღერებს, რომელიც შეასრულა 29 ნოემბერს ქუთაისის თეატრში და 5 დეკემბერს ქუთაისის კლუბში 87 კაცისაგან შემდგარმა გუნდმა ბ-ნ კ. ფოცხვერაშვილის ლოტბარობით ორკესტრთან ერთად.

საყულიელი

* * *

10 დეკემბერს პეტერბურგში გაიმართა მეექვსე „აღმოსავლეთის საღამო“ პეტერბურგის მაჰმადიანთა საქველ-მოქმედო საზოგადოების სასარგებლოდ. ორკესტრს შეუსრულებია აღმოსავლეთის მოტივები. მონაწილეობა მიუღიათ ქ-ნთ პრჟებილეცკისა, სარაჯიშვილისას და სხვებს. დაუდგამთ ცოცხალი სურათები კავკასიის ცხოვრებიდან. ხალხი ძალიან ბევრი დასწრებია.

სასამართლო

მარტყოფისა და ზედაზნის მონასტრების გაძარცვა

ამ საქმის განხილვა ტფილისის ოლქის სასამართლოში დაიწყო ხუთშაბათს, 17 დეკემბერს. პასუხის გებაში მიცემულია ტატო გაბაშვილი (იგივე გიორგი ალნიაშვილი), ივანე თოთიბაძე, რაჟდენ ცეცხლაძე, ილია თოხაძე, ირაკლი თოიძე, გრიგოლ მამულაშვილი (ბრალდებული გიორგი დოლიძე გარდაიცვალა), ოჰანეზ ტერ-ვართანიანცი და ნიკოლოზ სალუქვაძე. პირველ ექვს ჰბრალდება მარტყოფის და ზედაზნის მონასტრებზე თავ-დაცემა და გაძარცვა, ხოლო დანარჩენ ორს—ბოროტ-მოქმედების არ გამხელა და დამნაშავეთა დამალვა. საბრალმდებლო ოქმი ამ საქმის შესახებ გადმოგვცემს. 1902 წელს, 15 მარტს, ღამის ასე 3 საათი იქნებოდა, როდესაც ზედაზნის მონასტრის მთავარ-დიაკონს დოდოს გაუგონია ეკლესიასთან ხმაურობა. ჰგონებია, წინამძღვარი იონა ამდგარა და ეკლესიაში სანთლებს ანთებსო, ამიტომ ამდგარა და დაუპირებია ეკლესიაში შესვლა. მაგრამ თავისი სადგომის კარები დაკეტილი დახვედრია და ძლივს გაჭირვებით ცულით გაუღია. დოდო მაშინვე წინამძღვრის სადგომისაკენ წასულა. მ. იონას სადგომის კარებიც გარედან დაკეტილი ყოფილა. მ. დოდოს გაუღია კარები და იონასთან ერთად წასულა ეკლესიაში, რომლის კარებიც გაღებული დახვედრიათ. როგორც აღმოჩნდა, ბოროტ-განმზრახველთ ეკლესიის კლიტე გაუტეხიათ, შესულან და წაუღიათ, რაც მოუხელებიათ. ეკლესიაში არც ერთი ნივთი თავის ადგილას აღარ იყო თურმე. საფულე ყუთები დაემტვრიათ და რაც ფული ყოფილიყო, წაეღოთ; წაეღოთ აგრეთვე ვერცხლისა და ოქროს ფეშხუმი, ვარსკვლავი, ბარძიმი, 2 ოქროსა და ერთი ვერცხლის ბეჭდები, და სხვა-და სხვა ძვირფასი ნივთები.

იმავე წელს 12 მაისს, საღამოს 7 საათზედ, წინამძღვართან შესულა მთავარ-დიაკონი დოდო და მოუხსენებია, სამი ვიღაც უცნობი კაცი მოვიდა და თქვენ გკითხულობენო. მ. იონას გამოუხედნია ფანჯრიდან და დაუნახავს სამი კაცი, რომელთაც წინამძღვრისათვის უთხოვნიათ, შინ მიგვიღეთ, ალსარება უნდა აღვიაროთ თქვენთანაო. როცა პატარა ხანს უკან მიუღია,—უცნობთ უთქვამთ, მშივრები ვართ, გვაჭამეთ რამეო. მ. იონას მ. დოდოსათვის უბრძანებია დაენაყრებინა იგინი, მ. დოდოს უცნობნი თავის სადგომში წაუყვანია. ცოტა ხანს შემდეგ უცნობნი უკანვე მობრუნებულან, ძალათი შეჭვარდნიან წინამძღვარს, თოფები დაუხლიათ და მოუთხოვნიათ ფული მოგვეცითო, მ. იონას უპასუხნია, ფული ეკლესიაში გვაქვს და მ. დოდო გაგიღებთ კარებსაო. შემდეგ ბოროტ-განმზრახველთ მ. იონა გამოუთრევიათ კარში, ერთი იმას დარაჯად დასდგომია, ხოლო ორი წასულან ეკლესიაში. მ. იონა როგორღაც დარაჯს გაქცევია. ორჯელ უსროლია მ. იონასათვის, მაგრამ ტყვია ასცდენია და წინძღვარი ხევში ჩამალულა. შემდეგ ჩასულა საგურამოში და იქ შეუტყობინებია ყველაფერი. ბოროტ-განმზრახველთ ეკლესიაში გაუტეხიათ საფულე ყუთები და ამოუღიათ ფული. მ. იონას სადგომში გაუტეხიათ შკაფი და წაუღიათ იქიდან საათი, ჯვარი, ფულად 7 მან. 50 კაპ. და შემდეგ წასულან. ბოროტ-განმზრახველები შეიარაღებულნი ყოფილან ხანჯლებით და რევოლვერებით. ლაპარაკში ერთს ამხანაგები გერასიმეს ეძახდნენ. ეტყობოდათ, რომ სამს ამხანაგს კიდევ ელოდნენ.

ამავე წელს თავს დაეცნენ მარტყოფის მონასტერს. 31 მაისს, ასე საღამოს 7—8 საათზე, როდესაც მლოცველები, ასე 15 კაცამდე, ჯერ კიდევ ეკკლესიიდან არ გამოსულიყვნენ და მონასტრის გამგე ბერ-მონაზონი გერმანე შემოსილი ტრაპეზში იდგა და აღსავლის კარებს ხურავდა, ეკკლესიაში შეცვივდა მთელი ბრბო, ასე 10—12 კაცამდე. ყველანი თავით ფეხამდე შეიარაღებულნი იყვნენ თოფებით, ხანჯლებით, რევოლვერებითა და სხვ. ორი მონასტრის ეკკლესიის კარებში ჩადგა და არავინ კარში არ გაუშვა, დანარჩენნი დარაზმდნენ ეკკლესიაში და იქ

კარგი და სასურველი იქნება განა, რომ ინგლისის ხალხიც მოთმინებიდან გამოვიდეს? აქაური პროგრესისტები, ლიბერალები, კვაკერები და სხვა თავისუფალი და რაციონალი სექტები, რადიკალები, ფაბიანები და კოოპერატორები—ყველანი ძალმომრეობის წინააღმდეგნი არიან. ესენი ისევ თავიანთ სიკეთისა, მშვიდობიანობის პოლიტიკას მისდევენ და სიტყვითა და დარიგებით ბრძოლას განაგრძობენ. ჩემბერლენსა, ბალფურსა და იმათ დამქაშებს კი სიტყვითა და დეკლამაციით ვერას დააკლებენ, ჭკუას ვერ ასწავლიან. რეაქციონერები მოქმედებენ, იმათი მოპირდაპირენი კი ლაპარაკობენ; ისინი ინტრიგებს ეწევიან, გაიძვერულად იქცევიან, თავიანთ საქმეს აწყობენ, ამათი მოპირდაპირენი კი გულ-ახდითა და პატიოსნად არწმუნებენ ხალხსა... აკი მოესწრნენ კიდეც იმ დროს, რომ თითონ ეკლესია და სამღვდელოებაც კი პოლიტიკის საქმეებსა და პარტიის ინტრიგებში გაერია, როდესაც ეს სამღვდელოება მთელი ორი საუკუნე პოლიტიკასა და ინტრიგებში არ ერეოდა. ეხლა კი სამღვდელოებაც მამაც, ძლიერ და მომქმედ რეაქციონერებს მიუდგა.

ანგლიკანის სარწმუნოების სამღვდელოება არ დაკმაყოფილდა იმით, რომ მარტო პირველ-დაწყებითი სკოლა ჩაიგდო ხელში, და სხვა სარწმუნოების მასწავლებლებს ნამდვილად სკოლებში სწავლება აუკრძალა. ეხლა სამღვდელოებამ ინგლისის პოლიტიკურ ცხოვრებაზეც მოინდომა გავლენის მოპოვება. მთავარ-ეპისკოპოსმა კენტერბერიმ ურჩია სამღვდელოებას, პოლიტიკურ საქმეებში უფრო ბეჯითი მონაწილეობა მიიღეთო. ამ რჩევის თანახმად, ლონდონის ეპისკოპოსმა და სხვებმა სამრევლო სამღვდელოებას წინადადება მისცეს, ლონდონის სხვა-და-სხვა უბნებში ადგილობრივი კომიტეტები დააარსეთ უმთავრეს საბჭოთი და კონსერვატორების გამარჯვებას მომავალ მუნიციპალურ, ანუ, უფრო სწორედ რომ ვსთქვათ, საერობო არჩევნების დროს ხელი შეუწყეთო. რამდენსამე დღეში მდიდარი სამღვდელოება საარჩევნო აგენტებად იქცა. უნდა იცოდეთ კი, რომ ამ სამღვდელოების შესანახად მთელი ხალხი, პოლიტიკურ პარტიების განურჩევლად, გადასახადს იხდის. ამას გარდა, სამღვდელოებას ჯამაგირი სჯულის წესების ასრულებისათვის ეძლევა და არა კონსერვატორების დახმარებისათვის. არ ვიცი, ბევრს მოახერხებს სამღვდელოება თუ არა, მაგრამ ერთ რამეზე კი ეჭვი არა მაქვს: მშვიდობის მოყვარე ლიბერალებსა, რეფორმატორებსა და რადიკალებს კი უსათუოდ გააგულისებს. არა მგონია, რომ ამ გაგულისებას კარგი შედეგი მოჰყვეს.—მეტად მშვიდობის მოყვარე კაცებისაგანაც კი არა ერთხელ გაგვიგონია მწარე შენიშვნები სხვა-და-სხვა გვარ პარტიების ტაქტიკაზე. და რაკი ვინმე თავის მოპირდაპირის თავხედობას მიჰხვდება, უსათუოდ შესაფერისს ღონისძიებასაც მიიღებს და ძალ-მომრეობას ისეთისავე ძალ-მომრეობით გასცემს პასუხს. ეს ბუნებრივი საქციელიც იქნება და ადამიანურიც.

რაც უნდა ჰქმნან და სთქვან წყვდიადის მოყვარულთა, მშვიდობიან განვითარებისა და საერთაშორისო დაახლოვების საქმე მაინც თანდათან ძლიერდება. საერთაშორისო ზავისა და სამედიატორო სასამართლოსათვის თავდადებულმა მშრომელმა კრემერმა (ამაზე მოგწერეთ კიდევაც. იხილე წერილი მე-XVII, „ცნობის ფურცელი“ № 2300) ნობელის პრემია—8050 გირვ. სტერლინგი (78 ათასი მანეთი) მიიღო იმის გულისათვის, რომ ზავისა და თავისუფლების საქმეს მრავალ წლის განმავლობაში დიდი ამაგი დასდო და დიდი სამსახური გაუწია. ეს დაჯილდოვება მით უფრო საყურადღებოა, რომ კრემერი ღარიბი მუშა კაცია და მეგობრების დახმარებითა ცხოვრობს.

ინგლისის პარლამენტის დეპუტაციის პატივსაცემლად პარიზსა და საფრანგეთის სხვა ქალაქებში გამართულ დღესასწაულებს ამაზე უფრო მეტი მნიშვნელობა ჰქონდათ. ეს დეპუტაცია პარიზში საფრანგეთსა და ინგლისს შუა მეგობრულ ურთიერთობის განსამტკიცებლად იყო წასული. ინგლისის დეპუტატებმა თავიანთი ცოლები და ქალიშვილებიც თან წაიყვანეს. ასე რომ დელეგაციაში მეტად მრავალი ხალხი იღებდა მონაწილეობას. ქალების დასწრება სადილებსა და მიღებაზე მეტად მეგობრულ ფერსა სდებდა მანიფესტაციებს. „გაუმარჯოს ინგლისელ ქალებს!“—აღტაცებით ესალმებოდნენ ფრანგები. ქალები ადრევე უნდა გარეულიყვნენ მშვიდობიანობის საქმეში. ზეთის ხილის ხე—ზავის ნიშანი—ყველა ერს უნდა გაუწოდოს ქალმა, დედამ და მოქალაქემ. რამდენიმე ქალი, ბარონესა სუტნერისა, ბრანსისა და სხვანი დღესაც მუშაობენ ზავის დამყარებისათვის. მაგრამ ზავი და მშვიდობიანობა ამ სოფლად მაშინ დამყარდება, როცა ყველა ერის ქალები ერთმანეთს პირს მისცემენ და თავიანთ ქმრებსა, ძმებსა და შვილებზე იმოქმედებენ. აი, ასეთი დიდი საერთაშორისო დანიშნულება აქვთ თანამედროვე განათლებულ ქალებს.

ქალების დასწრებას ზავის დღესასწაულზე საფრანგეთში იქნება მეტი მნიშვნელობაც ჰქონდა, ვიდრე ჟორესისა და პრესანსეს სიტყვებს. ორმავე სოციალისტმა დეპუტატმა მშვენიერ გულწრფელ სიტყვებში მთელის განათლებულ კაცობრიობის გულითადი ნატვრა გამოსთქვეს იარაღის დაყრასა და ერთა ძმობაზე. მიწის მხვნელსა და მუშას ომისათვის არა სცხელა. მშრომელ ხალხისა და კაცობრიობის მეგობრები დიდი ხანია ქადაგობენ იარაღის დაყრასა და შრომის გამარჯვებასა. ხსენებულ დეპუტატებს ამ საგანზე არაფერი ახალი არ უთქვამთ. დელეგაციის მიღების დროს პატიოსანმა და პატივცემულმა ლუბემაც იგივე სთქვა, რაც ჟორესმა და პრესანსემ სთქვეს. მართალია ახალი აზრი არა უთქვამთ-რა, მაგრამ კეთილი აზრი ყოველთვის დაუღალავად უნდა გაიმეორონ. როცა ხალხს ამნაირ აზრს რესპუბლიკის პრეზიდენტი, პალატის ვიცე-პრეზიდენტი და პირველი ორატორი (ჟორესი) და საერთაშორისო პოლიტიკის მცოდნე და განათლებული ჟურნალისტი (პრესანსე) უქადაგებენ—ეს მეტად მნიშვნელოვან და სანუგეშო მოვლენად უნდა ჩავსთვალოთ.

ლონდონელი

მყოფთა შესაშინებლად დასცალეს ბერდანები. მლოცველნი საშინლად შეშინდნენ. ყველა ცდილობდა დამალულიყო სადმე. სხვათა შორის, ტრაპეზში დაიმალა ბოგდანოვი. ზოგნი ბოროტ-მომქმედნი ტრაპეზში შეცვივდნენ და მამა გერმანეს მოსთხოვეს ფული. ერთს გერმანე დაუჭერია, მეორეს ამოღებულ ხანჯლის წვერი ყელზე მიუბჯერია და მესამეს რევოლვერი მაღლა გაუსვრია. მ. გერმანეს ჯერ უთქვამს, ფული არა მაქვსო, მაგრამ მერე გაუღია ძვირფას ნივთების ყუთი, საიდანაც ბოროტ-განმზრახველთ ამოულაგებიათ ძვირფასი ნივთები. ერთს რევოლვერი უსროლია ბოგდანოვისათვის, სახეში დაუჭრია და წაურთმევია შავი ლითონის საათი ძეწკვით. ამავე დროს სხვა ბოროტ-გამზრახველთ სათითაოდ ჩამოუვლიათ მლოცველთათვის და წაურთმევიათ რაც-კი ჰქონიათ. ერთი მისულა ბერ იოსებთან, დაუცლია რევოლვერი და მოუთხოვნია ფული. ბერს აუღია და იმ დღის შემოსავალი, სანთლის ფული, 45 მან. გადაუცია. 4 ავაზაკს წაუვლია იმისთვისვე ხელი, დაუწყიათ პტყლად ხანჯლით ცემა და 30 მან. კიდევ წაურთმევიათ. ზოგნი ერთხელ კიდევ მივარდნიან მუქარით ბოგდანოვს და მამა გერმანეს და მოუთხოვნიათ ფული. ბოლოს წასულან და თან ეკკლესიის კარები გაუკეტიათ. მლოცველთა სიტყვით, ავაზაკთა უმრავლესობა ახალგაზდანი იყვნენ. ეცვათ გურული ტანისამოსი და ლაპარაკობდნენ ქართულად, იმერულის კილოთი. ბოგდანოვს ბოროტ-მომქმედნი ელაპარაკნენ რუსულად. ბოგდანოვის სიტყვით ავაზაკები მშვენივრად ლაპარაკობდნენ რუსულს. ლაპარაკში ავაზაკები ერთმანეთს ეძახდნენ, თავ. ალექსანდრე, გიორგი, ვანო. ავაზაკების წასვლის შემდეგ ეკკლესია საშინელს სურათს წარმოადგენდა: საწიგნე წამოქცეული იყო და წიგნები იატაკზე ეყარა, ორი ხატი ტრაპეზის იატაკზე იყო და სხვა.

წაუღიათ ვერცხლის მოოქრილი ბარძიმი, ფეშხუმი, 2 ვერცხლის კიდობანი წმ. ნაწილებით, 6 ლამბაქი, 7 ჯვარი, ოქროს ბროსლეტი, ვერცხლის საყურეები და მრავალი წვრილი ნივთი. ამ ბოროტმოქმედების ჩადენის ღამეს, 12 საათზე, მონასტრისა და ტფილისის შუა ოლგას მამულების დარაჯს იდიკო-ალი-მამედ ოღლის უნახავს დაღმართზე მიმავალი რამდენიმე კაცი, რომელნიც ტფილისისაკენ მოეშურებოდნენ თურმე. დარაჯის გამოკითხვაზე უცნობებს განუცხადებიათ, იმერლები ვართ, მოვდივართ თავ. დადიანის მამულიდან, სადაც საქირაოს საშოვნელად ვიყავითო. შემდეგ აღმოჩნდა, რომ 31 მაისს თავ. დადიანის მამულში იმერელი არავინ ყოფილა. რადგან ამავე ღამეს გაძარცვეს მონასტერი, უფიქრიათ გამძარცველნი ესენი უნდა ყოფილიყვნენო. გამოძიებას ტფილისშივე შესდგომიან. პოლიციას, აგენტების დახმარებით, გამოურკვევია, რომ „პურ-ღვინოს“ რესტორანში ხშირად დაიარებოდა ერთი წრე გურულ ახალგაზდებისა, რომელთაც არავითარი გამორკვეული საქმე არა ჰქონდათ. ესენი იყვნენ: გრიგოლ მამულაიშვილი, გერასიმე თავართქილაძე, ირაკლი თოიძე და ილია თოხაძე, თუმცა ამათ არავითარი შემოსავლის წყარო არა ჰქონდათ, მუდამ ბილიარდზე თამაშობდნენ, დრო გამოშვებით ქეიფობდნენ კიდეც და საზოგადოდ ისეთს დროს ატარებდნენ, რომ აუცილებლად საჭირო იყო კარგა ბლომა ფული. ამ ყმაწვილ კაცებთან კავშირი ჰქონდათ რაჟდენ ცეცხლაძეს, ივანე თოთიბაძეს და ჯვარის მამის მონასტრის მორჩილად ნამყოფს გიორგი დოლიძეს, რომელიც 1902 წლის მაისში სამჯერ მისულა „პურ-ღვინო“-ში და უკითხავს თავართქილაძე.

(შემდეგი იქნება)

წერილი თელავიდან

ქალაქის საქმეები

8 დეკემბერს ქალაქის რწმუნებულთ მორიგ სხდომაზე ნიხრი დაადგინეს ხორცზე. ხმოსნები ჩიოდნენ, მართალია, ხარისხებად დავყავით ხორცი, მაგრამ ყასბები ისევ ისე „დავესკებით“ და როგორც თვითონა ჰნებავთ, ისე ჰყიდიანო. ზოგმა განაცხადა, მაინც ასე ჰყიდიან, ხარისხები მოვსპოთ და საშუალო ფასი დავუწესოთო, მაგრამ ჯერ ისევ ხარისხებად დაანარჩუნეს. ძროხის ხორცზე I ხარ.—9 კ. II ხ.—8 კ. არტალა 6 კ. კისერი 5 კ. სუკი 12 კ. ცხვრისა და ღორისა გირვანქა 10 კაპ. და თხისა 1 გ.—8 კაპ.

მამასახლისმა მოახსენა, რომ მეკიტნის ამქარი წელს 700 მან. იხდის სატრაქტირო გარდასახადს, მომავალ 1904 წლისთვის მოუმატებთ, თუ ისევ ეს ჯამი დარჩესო. ბარათებით ხმები მოჰკრიფეს და ხმის უმეტესობით ისევ 700 მან. დასტოვეს სატრაქტირო გარდასახადი. შემდეგ გადასინჯეს მომავალ წლის შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა. მომავალ წელს ქალაქი, ცოტა არ იყოს, წინ წაიწევს: გაიხსნება საქალაქო ამბულატორია, აშენდება საქალაქო დუქნები, საყასბო უნდა გაფართოვდეს და მოეწყოს ღორის ხორცის მიკროსკოპიულად გამოკვლევა. ხარჯთ აღრიცხვის ზოგიერთმა მუხლმა ბაასი გამოიწვია. მაგ. განათებაზე ქალაქს კარგა ფული ეხარჯება და ქუჩები-კი არ არის განათებულიო. ეხლანდელი მოიჯარადრე ისე ანთებს, რომ ძალა არა აქვს და არც ხეირიანად ანათებს, საკვლავოდ სხვას გადავცეთ, რომ უკეთ შეასრულოს ეს საქმეო. ქუჩები მართალია არ ვარგა, მაგრამ ზოგი მათგანი ისეა, რომ ვერ გაივლება, მაგ. სამების ქუჩა, ამას გარდა მცხოვრებნი ნაგავსა ჰყრიან და ეს უფრო აფუჭებს საქმესო. ბევრმა განაცხადა, ამ ქუჩაზე ქვაფენილი გავაკეთებინოთ და უღარიბეს მცხოვრებთ ფულით შევეწიოთო. იანგარიშეს და მოკირწვლა ჯდება 1000 მან. მეტი. ამაზე ვერაფერი გადასწყვიტეს, მხოლოდ ქუჩების შესაკეთებლად 300 მან. გადასდეს და სხვა. შემდეგ მოისმინეს მამასახლისის მოხსენება იმის შესახებ, რომ მთავრობა აპირობს პირველ დაწყებით ორკლასიან სკოლის გახსნას თუ ქალაქი ყოველ წლივ დახმარებას აღმოუჩენსო. ამ საგანზე კარგა ხანი ილაპარაკეს, ზოგი წინააღმდეგი იყო, ზოგი მედგრად თხოულობდა შემწეობას, მაგრამ მაინც ვერაფერი გადასწყვიტეს და შემდეგ კრებისთვის გადასდეს. ბოლოს მამასახლისმა გააცნო ამბულატორიის გახსნის მდგომარეობა, რაიცა ცალკე წერილით უკვე ვაუწყეთ მკითხველთ.

დიმიტრაშვილი

დაბა-სოფლები

ჭიათურა (იმერეთი). ამ ორის წლის წინად რკინის გზის გამგეობამ საწყობებში ფარნები გამართა საწყობების გასანათებლად, რომ მუშებს არ ეწვალნათ ღამე ვაგონის ტვირთვის დროს და „ახალ მოვლენილ ექსპორტერებსაც“ ვერ ეთარეშნათ სინათლეზე შავის ქვის საქურდლად. (ეს ვაჟბატონები იმდენს აგროვებენ ნაპარავ ქვას, რომ საწყობებიცკი გაიჩინეს და ვაგონებით ჰყიდიან). დიახ, გვეგონა აწი მაინც ვერ ითარეშებდნენ თამამად, რადგან საწყობები განათებული იქმნებაო, მაგრამ მალე გაგვიცრუვდა იმედები: მართალია, ბოძები დაასვეს, ისიც მართალია, რომ ფარნებიც დადგეს ზედ, მაგრამ განათებით-კი არ ვაუნათებიათ. ამ რიგად ერთი თუ ორი წელიწადი კი ამშვენებდა ეს ბოძები საწყობებს და შემდეგ დააძვრეს ისევ და სადღაც გაჰგზავნეს. თუმცა ჩვენთვის სულ ერთი იყო, გვექნებოდა უსინათლო ფარნები თუ არა. ივნისში რკინის გზის გამგეობამვე გამართა სადგურზე და საწყობებში „გალკინის“ სისტემის ფარნები, რიცხვით 30-მდე, მაგრამ რა! ორჯერ თუ სამჯერ აანთეს და შემდეგ მხოლოდ დღისით მოსჩანან და ღამით-კი არა. ნეტავ ვიცოდეთ, რათ უნდოდა რკინის გზას ეს ამ სიმაღლე ბოძებიანი ფარნები, თუ არ აანთებდა?! ნუ თუ შნოსთვის?

მკითხველებსაც მოეხსენებათ, რომ ამას წინად ქუთაისის საპატიმროდან გაიპარა შორაპნის მაზრის მცხოვრები (ს. შუქრუთი) ი. გაჯრინდაშვილი. ეს ვაჟბატონი 4—5 თვეა დათარეშობდა ამ ახლო-მახლოს და მცხოვრებთ მოსვენებას არ აძლევდა. დღეს აქ დაეცემოდა ვინმეს და გაძარცვავდა, ხვალ იქ, ზეგ იმ სოფელში და ასე. ორ თუ სამ ადგილას მკვლელობაც კი ჩაიდინა. ამას წინად სამუშაოდ მიმავალი მეურმეები, მამა და შვილი, ბურჯანაძეები სიცოცხლეს გამოასალმა და მრავალი სხვა ამისთანები. 14 დეკემბერს ეს ვაჟბატონი შეიპყრეს და საჩხერის საპატიმროში გაჰგზავნეს.

ამ ზამთრის პირზე აქეთკენ კარგი ამინდები დაიჭირა და მარგანეცის მუშაობა-გადმოზიდვა გაჩაღებულია. სამწუხაროა ის არის მხოლოდ, რომ შავი ქვის მოთხოვნილება ნაკლებია და, რაც არის, იმის ფულსაც არ იძლევიან თავის დროზე, მეტადრე ბერძნები.

ლადო გუბელი

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

17 დეკემბერი

პარიზი. რადგან ბურჟუამ სურვილი განაცხადა, რომ პალატის პრეზიდენტის ადგილზე იმის მემკვიდრედ ბრისონი იქმნეს, ეტიენმა და დუმერმა უარი განაცხადეს კენჭის ყრაზე.

ტულა. ტულა-ლიხვინის ახლად გაყვანილ რკინის გზაზე საქონლის მატარებლების მიმოსვლა დაიწყო სადგურ ტულადან სადგურ ლუბნამდე.

რიაზანი. საგუბერნიო კრება შუამდგომლობის აღძვრას აპირებს, რომ ყველა სახელმწიფო სასწავლებლებში უფასოდ ასწავლიდნენ იმ სახალხო სკოლის მასწავლებელთა ქალებს, რომელთაც ათი წელიწადი უმსახურნიათ.

მოსკოვი. სამოსამართლო პალატამ უარი უთხრა ტამბოვის უსახელო საზოგადოებას, რომელიც თხოულობდა თავად-აზნაურთა წინამძღოლად ნამყოფ კოყინთან დადებული ხელ-შეკრულობა გააუქმეთ და კოყინს ჩვენს სასარგებლოდ მილიონ-ნახევარი მანეთი გადაახდევინეთო.

პეტროზავოდსკი. საგუბერნიო კრებამ გზის საკეთებელი თანხა სამაზრო ერობათ გადასცა იმ პირობით, რომ ამ ფულის ხარჯვას თვალს ადევნებდეს საგუბერნიო ერობა.

ხარკოვი. წინამძღოლთა და დეპუტატთა კრებამ საკადეტო სკოლის გასამართავ ადგილად კუპიანსკი აირია.

ლონდონი. ოფიციალურს გაზეთში გამოცხადებულია, დიდს მთავარს ვლადიმერ ალექსანდრეს ძეს ვიქტორიას დიდის ჯვრის ორდენი ებოძაო.

განჯა. განჯის აღებიდან ასის წლის მომავალ იუბილეისა გამო საბჭომ დაადგინა ქალაქის თათრის ნაწილში გახსნას ორ-კლასიანი სასწავლებელი თავად ციციანოვის სახელობისა.

კოსტრომა. საგუბერნიო კრებამ საუმჯობესოდ სცნო სამუშაოს აღმოჩენით დაეხმაროს ღარიბთ და ამიტომ სურვილი გამოსთქვა შრომის სახლის დაარსებისა.

ლიბავა. კრეისერი „ალმაზ“-ი გუშინ შორეულ აღმოსავლეთში წავიდა.

ბოსტონი. მომავალ წლის არჩევნებზე პრეზიდენტის მოცილე კანდიდატად დემოკრატიულ პარტიას ოლნეი გამოჰყავს.

კოპენჰაგენი. 16 დეკემბრამდე სასურველი ცნობები მოდიოდა მეფის ჯანმრთელობის შესახებ. დღეს ლოგინიდან არ ამდგარა, რადგან წელის ტკივილი აქვს, თუმცა საერთოდ კარგად არის. ჯერ ჯერობით დანიაში ვერ დაბრუნდება.

ტოკიო. მთავრობას მიენდო საგანგებო საჭიროებათა ფონდიდან 50,000,000 იენი დახარჯოს.

რომი. საფუძვლეს მოკლებულია ის ხმა, ვითომ გენერალი სისმონდო მაკედონიის ჟანდარმერიის უფროსად დაინიშნაო.

რიაზანი. საგუბერნიო კრებამ გამოსთქვა დესეტინობით ცენზი დირებულებაზე გადაიტანონ, შეამცირონ არჩევნებში მონაწილეთათვის ეს ცენზი, მოსპონ წოდებრივი უპირატესობა არჩევნებში, გლეხთა საზოგადოებებს უფლება მიეცეთ თავიანთი ხმოსნები პირდაპირ აირჩიონ, ხმოსანთა რიცხვი იმდენივე იყოს, რამდენიც 1864 წლის წესდებით იყო დაწესებული და ქალებს უფლება მიეცეთ სხვას გადასცენ თავიანთი ხმა.

18 დეკემბერი.

ტუმლინი. პრივისლიანდიის რკინის გზის პატარა სადგურ ტუმლინზე საქონლის ორი მატარებელი ერთმანეთს დაეჯახა. მძიმედ არის დაჭრილი მატარებლით მიმავალი მეისრე, ოთხიკი მსუბუქად დაშავდა; დაიმსხვრა 5 ვაგონი და ორიც დაზიანდა.

ტოკიო. გამოვიდა ბრძანება, რომელშიაც ნათქვამია, რომ მთავრობა იძულებულია ისარგებლოს კონსტიტუციის მე-7 მუხლით და მიიღოს შემდეგი განსაკუთრებული ღონისძიებანი: გამოსცეს სესხი, რომელიც გადახდილ უნდა იქმნას ორის წლის განმავლობაში, გამოსცეს ქაღალდის ფული, რომელიც გაბათილებულ უნდა იქმნას 5 წლის განმავლობაში, და მოიხმაროს მთავრობის სპეციალური სათადარიგო ფონდი.

—სეულ-ფუზანის რკინის გზის გამგეობას ნახევრად ოფიციალური ხასიათი ექმნება და დაექვემდებარება მთავრობის კონტროლს.

სტამბოლი. ზინოვიევთან თათბირი ჰქონდათ რუსეთისა და ავსტრიის ელჩებს. გარეშე საქმეთა მინისტრმა პრინციპიალურად გადასწყვიტა, მაკედონიის ვილაეტებში ჟანდარმერიის მთავარ უფროსად იტალიის გენერალი დაინიშნოს.

ლონდონი. იაპონიამ იყიდა არგენტინის ორი ჯავშნიანი გემი, რომელსაც გენუაში აშენებდნენ.

ბიზერტა. სამხედრო გემები „იმპერატორ ნიკოლაი“ და „აბრეკ“ კრონშტადტს გაემგზავრნენ.

ჩიკაგო. დილით, წარმოდგენის დროს თეატრში ცეცხლი გაჩნდა; დაღუპულთა რიცხვი ორას კაცზე ნაკლები მაინც არ იქმნება; ცეცხლის მქრობელ რაზმის უფროსი ჰფიქრობს, პირველ გალერეაში 300-დან 500 გვამამდე იქნებაო.

კალკუტა. ტიბეტს გაგზავნილ ინგლისის ექსპედიციას დიდ-ძალი მუშა საქონელი ეხოცება, რის გამოც ჯერ ისევ ცზამბოს ველზე არის. ექსპედიცია იძულებული იქმნება, შესამჩნევად შეამციროს ამალის რაზმი.

სოფია (ოპოზიციის წრეებიდან). საერობო კრებას მოწყენილობა ეტყობა. რადგან ოპოზიცია კრებებში მონაწილეობას არ იღებს, კამათიც აღარ იმართება. სესია 22 დეკემბერს დასრულდება. ირწმუნებიან, რომ სამხედრო საჭიროებისათვის კრება ამტკიცებს საგანგებო კრედიტს—15 მილიონ ფრანკისას. სტამბოლიდან მოსული ცნობა ლოზენგრადის სანჯაყში და როდოპთან აჯანყების შესახებ საშიშარს არაფერს წარმოადგენს. რაზმები ძლიერ მცირე რიცხვოვანია.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

განცხადებანი

სოფელ ნატახტარში
აძლევენ იჯარით
ოთხ თვალს წისქვილს და ხილის ბაღს სამ დესეტინას. ხუთი ვერსია მცხეთიდან. ჰკითხეთ კირპიჩნი ქუჩაზე პირველ კუთხის სახლში გაბაშვილისას. (1—230—1)

მიიღება ხელის-მოწერა 1904 წლისათვის
ორ-კვირეულ გამოცემათა ქართულს
XXI წ. „მწყემს“-ზე XXI წ.
და
რუსულ „ПАСТЫРЬ“-ზე
ჟურნალის ფასი:

12 თვით „მწყემსი“ 3 მ.	6 თვით „მწყემსი“ 2 მ.
სამკურნალო ფურცლის დამატებით — 4 მ.	— „ რუსული “ 2 „
— „ რუსული “ 3 მ.	— „ ორივე გამოცემა 3 „
ორივე გამოცემა 5 მ.	

გაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება დაბა **ყვირილაში**, რედაქციაში; **ქუთაისში** ბ-ნ ესტატე ლამბაშიძესთან, **ტფილისში** „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში, ბ. შიო ქუჩუკაშვილთან. **ახალსენაკში**—ბლაღოჩინ მამა არ. კალანდარიშვილთან.

სოფლის სასწავლებელთ და ღარიბთ გაზეთები დაეთმობათ მთელის წლით ორივე გამოცემა **სამ მანეთად.**

რედაქცია იმყოფება დ. **ყვირილაში** რედაქტორის საკუთარ სახლებში.

გარეშე მცხოვრებთ ჟურნალის დაბარება შეუძლიათ ამ ადრესით: Въ Квирилы, въ редакцію газеты и журнала „МЦКЕМСИ“ и „ПАСТЫРЬ“.

რედაქციაში მოიპოება წარსული წლების რამდენიმე სრული გამოცემანი „მწყემსი“-სა, რომელნიც ორ მანეთად დაეთმობათ მსურველთ.

რედაქციაში მოიპოება აგრეთვე სხვა-დასხვა სასულიერო შინაარსის გამოცემანი, რომელთა კატალოგი დრო-გამოშვებით ჟურნალშიდაც იბეჭდება და მსურველთაც შეიძლება დაიბარონ რედაქციიდან.
(შ. 3—3)

ქუთაისში
სამ. ბ. თოფურიას
სამკურნალო,
რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვითა და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

ვარდისფერი
ბროლისებური საპონი
№ 4711
ამ საპონში **ბევრი გლიცერინია.**
რადგან ბევრი ქაფი იცის, ამიტომ
ყაირათიანია.
ვარდის საუცხოვო
სუნნელება აქვს.
აი თვისებანი, რომელნიც **საუკეთესოდ** ხდის ამ საპონს.
ფერდ. მიულგენსი
კოლოკოლნაია **№ 4711** კელნსა
და რიგაში.
(მც. 10.—6)

გამოვიდა და იყიდება საქართველოს
ყველა წიგნის მაღაზიებში
სახალხო კალენდარი
მ. გაჩეჩილაძისა 1904 წ.
კალენდარი შეიცავს 232 გვ. მოთავსებულია შიგ 9 სურათი და ღირს მხოლოდ ორ შაურად. ვინც ა-წ., იყიდის, მანეთზედ 40% ეთმობა, კომისიით-კი 20%ის ფოსტის ადრესი: Квирилы, типографія Гачечиладзе.
(5—5)

Дозв. ценз. Тифлисъ 18 декабря 1903 г. ელექტრონის სტამბა წიგნების გამომც. ქართ. ამხ—ისა, (Электропеч. Груз. Издат. Т—ва